ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 15

2023 წელი 10 ნოემბერი

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2023 წლის 10 ნოემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძემ, ნინო კვირიკაძე, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, ზვიად გუმბერიძე, ვლადილერ წიქორიძე, გვანცა გრძელიძე, გურამ ჩხეიძე, დიომიდე კიკნაველიძე,ირაკლი გოგსაძე, შადიმან გორგოძე.

სულ: 23 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ჯუმბერ რობაქიძე, მაკა მესხი, ზაზა ზივზივაძე, შალვა მშვილდაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ვაჟა ჩაფიძე- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

კახა მსხვილიძე- მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ მელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

თამთა ჯიხვაძე - საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე რომელმაც აღნიშნა, რომ „მუნიციპალიტეტის მერიიდამ შემოსულია წინადადება რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ, სადაც უნდა განვიხილოღ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილება და მოვიწონოთ 2024 წელში განსახორციელებელი პროექტების ნუსხა.“

ნ. გიორგიძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 23 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანოს-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსმა - ვაჟა ჩაფიძემ.

აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ წიქორიძემ, ნინო კვირიკაძემ, ბიძინა ჯაბიძემ, მურად ბურჯანაძემ, გურამ კიკნაველიძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ, ნოდარ გიორგიძემ.
ვლადიმერ წიქორიძე-ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", დაინტერესდა ახალად შექმნილი ა.ა.ი.პ-ის ხარჯების განაწილებით.
ნინო კვირიკაძე - პ/გაერთიანება „ლელო", მისი შეკითხვა მომხსენებლისადმი შეეხებოდა ახლად შექმნილი ა.ა.ი.პ-ის პრორამული კოდების შექმნას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის დასკვნა სხდომას მიაწოდა, ამავე კომისიის თავმჯდომარემ - მურადი ბურჯანაძემ.

საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N12 დადგენილება :**გ-67.6723314001** თარიღი:**10/11/2023** (დადგენილება თან ერთვის თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ.

მუნიციპალიტეტში 2024 წელში შესაძლო განსახორციელებელი პროექტებთან დაკავშირებით განკარგულების პროექტი სხდომაზე წარადგინა: კახა მსხვილიძემ- მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვეს: დიომიდე კიკნაველიძემ, ბიძინა ჯაბიძემ, ვლადიმერ წიქორიძემ, თორნიკე გაჩეჩილსაძემ, თეა გოგნაძემ, გურამ ჩხეიძემ, მაია კბილაშვილმა, ნოდარი გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: თორნიკე გაჩეჩილაძემ- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:
დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N61 განკარგულება:**g-67.6723314001** თარიღი:**10/11/2023** (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**